კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას საფრთხეს უქმნის

განცხადება, 14 მაისი, 2016

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოხატავს საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებების გამო და მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ქმედება მიმართულია არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი შემადგენლობის ან/და კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ, არამედ - მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზებისა და მისი უმნიშვნელოვანესი როლის დაკნინებისკენ, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელ ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, ხელისუფლების დანაწილება და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ჯეროვნად, ეფექტურად და მიუკერძოებლად განხორციელება.

ცვლილებების მიღების პროცესი

აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა ხსენებული ცვლილებები მიიღო განსაკუთრებით შემჭიდროვებულ ვადებში, დახურული და გაუმჭვირვალე პროცესის პირობებში. კერძოდ, კანონპროექტში განხორციელებული ცვლილებები, კომიტეტის სხდომამდე საჯაროდ არ იყო ხელმისაწვდომი, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავდა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე საზოგადოებრივი დისკუსიების წარმართვას და პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულის პარალელურად, 2016 წლის 11 მაისს, საქართველოში ვიზიტის შემდეგ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა გამოაქვეყნეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი მიესალმებიან საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განზრახვას, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები გადაეგზავნოს ვენეციის კომისიას, რათა მომზადდეს შესაბამისი დასკვნა კანოპროექტის მე-2 მოსმენით განხილვამდე.

კოალიციის წევრები:
კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო
საქართველოს გაეროს ასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი
სამოქალაქო ჩართულობის ინსტიტუტი
საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველოს ევროპული არჩევანი
ლიბერალური აკადემია თბილისი
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის
ადამიანის უფლებათა ქსელი
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
კავშირი „საფარი“

საკანონმდებლო ორგანომ, არამხოლოდ დაარღვია აღნიშნული პირობა, არამედ კანონპროექტის პლენარულ სესიაზე მე-2 მოსმენით მიღებიდან მხოლოდ რამდენიმე საათში (არასამუშაო საათებში), ხსენებულმა კომიტეტმა უკვე მე-3 მოსმენით მიიღო ცვლილებები, რაც შემდგომ, პლენარულ სესიაზე დამტკიცდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ კანონპროექტის ინიცირება და მისი მიღება, წარმოადგენდა ხელისუფლების ერთგვარ ნეგატიურ რეაქციას სასამართლოს მიერ მიღებულ, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ, თუმცა ხელისუფლებისთვის არასასურველ გადაწყვეტილებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებამდე გარკვეული ჯგუფების მხრიდან ადგილი ქონდა სასამართლოს წევრების მიმართ განხორციელებულ სამართალდარღვევის ფაქტებს, რაც ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩებოდა.

პრობლემური საკითხები

აღნიშნული ცვლილებები საფრთხეს უქმნის:

- **პლენუმის (სასამართლოს სრული შემადგენლობის) მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღებას** - სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 9 მოსამართლიდან 7 მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილება (მათ შორის ნორმის შეჩერების თაობაზე) მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილების მისაღებად ამგვარი მაღალი კვორუმის დადგენა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ვენეციის კომისიის შეფასებებს და დიდი ალბათობით, გამოიწვევს სასამართლოს პარალიზებას.
- **4 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის უფლებამოსილებების ჯეროვან განხორციელებას** - კოლეგიის თითოეული მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილი იქნება, მოითხოვოს საქმის პლენუმისადმი გადაცემა, რაც საფრთხეს უქმნის კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად მიღებას
- **კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას** - შემოთავაზებული ვერსიით, ნებისმიერი დავა, რომელიც შეეხება ორგანული კანონის კონსტიტუციურობას ადამიანის უფლებებთან მიმართებით, უნდა განიხილოს პლენუმმა ზემოხსნებული კვორუმის გათვალისწინებით. აღნიშნულ საკითხებში მოიაზრება საარჩევნო კანონმდებლობასთან

დაკავშირებული დავები, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, ასევე სადავო ნორმის შეჩერების და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მოითხოვს სასამართლოს მხრიდან სწრაფ და ეფექტურ მოქმედებას.

- **სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა უფლებებს და ინტერესებს** - სასამართლოს წევრის 10-წლიანი ვადის ამოწურვისას, იგი ავტომატურად წყვეტს საქმიანობას, რაც გულისხმობს იმას, რომ წინა შემადგენლობის მიერ არსებითად განხილული საქმეები, საწყის ეტაპზე უნდა დაბრუნდეს, რაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებს მნიშვნელოვნად დააზარალებს. ამან ასევე შეიძლება გადატვირთოს სასამართლო, რადგან ახლად დანიშნულ მოსამართლეებს ახალი სარჩელების პარალელურად მოუწევთ უკვე განხილული საქმეების ხელახალი განხილვაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები უხეშად არღვევს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას, მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების დასუსტებისა და პროცედურათა გართულების გზით მისი ეფექტურობის შემცირებას და ფაქტობრივ პარალიზებას.